13334

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 20 1883—1902 30 ოქტომბერი

ნურავის წინ ნუ შეუშინდები სიმართლის თქმას.

რასოდეს არ ყოფილა გავრცელებული უმართლოება ხალხში ისე, როგორც ჩვენ დროშია. იშვიათად შეხვდებით კაცს ჩვენს დროში, რომ სიმართლეს გელაპარაკებოდეს. ზოგიერთები სავალდებულოთაც კი რაცხვენ, რომ პირადად ეუბნებოდეს ერთს და საქმით ასრულებდეს მეორეს, პირში ეუბნებოდეს წალმართიანად და საქმეს ასრულებდეს უკულმართად. რამდენიც უნდა დაგვიმტკიცონ სიცრუის მოლაპარაკეებმა, რომ იგინი იძულებულნი არიან ხან-და-ხან სიმართლის მაგიერ სიცრუე სთქვან, ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ მათ და უმართლოება და სიცრუით ჩვენება საქმისა რომელიმე მიზეზისა გამო შევიწყნაროთ.

ადამიანი, როგორც ღვთის ქმნილება, ღვთის მსგავსებისაებრ შექმნილი, ვალდებულია, ცხოვრების ყოველ შემთხვევებში სიმართლეს ამბობდეს. ღმერთი არის დაუსაბამო ნათელი და ჭეშმარიტება. მართალ არს უფალი და სიმართლენი შეიყვარნა და სიწრფოებანი იხილა პირმან მისმა. ამიტომ ადამიანი, როგორც ღვთის პირმშო, სიმართლეს უნდა ლაპარაკობდეს. ღაღადებდეთ ჭეშმარიტებასა, ასწავებს ქრისტიანეთ წმ. პავლე მოციქული.

ასე ამნაირად, ყოველი ადამიანი ვალდებულია მარტო სიმართლეს ამბობდეს, ამას თხოულობს თვით ადამიანის ბუნება, ღვთის მსგავსებისაებრ შექმნილი, ამას თხოულობს ღვთის კანონი. მესამე მცნება, უშლის რა ღვთის სახელის ამაოდ ხსენებას, ფიცს

და საერთოდ ყოველივე სიცრუეს, გვიბრძანებს მხოლოდ სიმართლის თქმას. სიმართლის ლაპარაკს გვთხოვს თვით ჩვენი სვინიდისი—ეს ჭეშმარიტი, უშიშარი ხმა თვით ღვთისა—ჩვენში. სიმართლის ლაპარაკს თხოულობს ამ ქვეყნიური ცხოვრების კეთილდღეობაც. ცხოვრებაში, მართლის მოლაპარაკე კაცს დიდი პატივი აქვს, საზოგადოებრივ საქმეში მას უთმობენ პირველ ალაგს, იმისგან იღებენ რჩევას, მას სთხოვენ დახმარებას გაჭირვების დროს, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ იგი სამართლიანად განსჯის საქმეს. როდესაც კაცი სიმართლეს ლაპარაკობს, იგი დამშვიდებულია, მას არ ჰქენჯნის სვინიდისი. დეე, იგი სდევნონ სიმართლისათვის,—ის თავის თავად დამშვიდებულია, თავის გულში იგი ჰპოვებს სიმშვიდეს და ნეტარებას. როდესაც კი სიმართლეს ულალატებ—სულ სხვაა, შეიძლება ვინმეს ასიამოვნო, მაგრამ სამაგიეროდ, სვინიდისი მუდამ მამხილებელი იქნება, იგი არც დღე არც ღამე არ მოგასვენებს,—არა, მუდამ სიმართლეს უნდა ადგეთ. სიცრუე ეშმაკის წარმოშობილია, ის კი ვინც ცრუობს, ემსგავსება სიცრუის მამას—ეშმაკს.

თანამდებობის ასრულების დროს საჭიროა წმიდა სიმართლის ლაპარაკი. სხვა-და-სხვა თანამდებობის ასრულების დროს რამდენი შემთხვევებია, როდესაც ადამიანი ღალატობს სიმართლეს და სულს იწყმედს. მაგრამ, თქვენს აზროვნობას მუდამ უნდა აბრთხილებდეს სიმართლის ხმა, მისი ღალატის უნდა გვეშინოდეს: სიმართლის ღალატისათვის ამ ქვეყნადვე დავიტანჯებით, რადგან უფალი ბრძანებს: არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადდეს; უფრო მკაცრად კი ზეცას დავისჯებით, სადაც დაუსაბამო წმიდა სიმართლეა—თვით უფალი ღმერთი ჩვენი.

ნუ შევეშინდებით სიმართლის თქმას უფროსების წინაშე და საერთოდ ამა ქვეყნის ძლიერთა წინაშე, თუ გინდ სასჯელიც გველოდეს ამისათვის: დავადგეთ სიმართლეს და გვიყვარდეს იგი, სამაგიეროდ მივიღებთ ჯილდოს ქრისტესაგან. შენ დაგიწყებენ დევნას, მაგრამ მოითმინე. როდესაც სიმართლეს ამბობდე, იყავ მშვიდი, მომთმენი, ნუ გაჯავრდები და ნუ გადახვალ ზრდილობის და პატიოსნების საზღვარს.

იმის დიდებულ მაგალითს, თუ როგორ უშიშრად უნდა ვამბობდეთ სიმართლეს ამ ქვეყნის ძლიერთა წინაშე, წარმოგვიდგენს თვით მაცხოვარი იესო ქრისტე და მისი წმიდა მოციქულები.

არ უნდა გვეშინოდეს სიმართლის თქმის მსაჯულთა წინაშე, როდესაც მოწმეთ ან ბრალმდებლად გიწოდებენ. „სიმართლეზედ გაჩუმება ნიშნავს მის უარყოფას“. ამიტომ, თუ სამსაჯულო თხოულობს სიმართლეს, არა თუ უნდა ვამახინჯებდეთ მას და პასუხის გებას გაურბოდეთ, არამედ ჩვენვე უნდა ვცდილობდეთ სიმართლის გამორკვევას, უნდა ვაღვიაროთ სიმართლე თვით ჭეშმარიტების გულისთვის.

ტურინის*) გარდამოხსნა.

ტურინის საკრებულო ტაძრის სალაროში დღემდის ინახება ძვირფასი ნაშთი, რომელიც ნამდვილ გარდამოხსნად ითვლება, რითაც იოსებ არიმათიელმა წარგზავნა გვამი ქრისტესი საფლავში ჩასვენებამდე. ძველი კადუინის ბაზილიკაშიდაც—დორდონაში, ეგრეთვე ინახება ერთი გარდამოხსნა შესანიშნავი თავისი სიძველით. 19 საუკუნის შემდეგ, რასაკვირველია, ძნელია იმისი დამტკიცება, რომ ესა თუ ის გარდამოხსნა ნამდვილია.

ტურინის გარდამოხსნა მოტანილია აღმოსავლეთიდგან მე-XIV საუკუნეში ვილგელმისაგან და შენახულია ტურინში 1578 წ. სავოიის პრინცის, ფილიპპე ემანუელის ბრძანებით. ეს გარდამოხნა დასვენებულ იქმნა ლუსაკუმაში, რომელიც სამი კლიტით დაკეტეს; ერთი კლიტე აქვს პაპას, მეორე ტურინის ეპისკოპოზს და მესამე სავოიის პრინცს (აწ იტალიის კოროლს). ამ ძვირფასს ნაშთს ამოასვენებდენ ხოლმე ლუსკუმიდან მხოლოდ დიდებულ შემთხვევებში.

რამოდენიმე წლის წინად, ამ გარდამოხსნას ერთი არა ჩვეულებრივი რამე შეამჩნიეს. ის წარმოადგენს ტილოს ნაჭერს მოლურჯო ფერისას,

*) ტურინი—ქალაქია იტალიაში. ტურინის ქალაქზე ჩვენ გვექნება რამოდენიმე სიტყვა მოგზაურობის აღწერის დროს, როცა მოვიხსენიებთ ჩვენ მოგზაურობას ევროპაში. რედ.

სიგძით 4,1 მეტრი და სიგანით 1,4 მეტრი, ზოგიერთ ადგილას დამწვარია, როდესაც 1532 წ. ეკლესიას ცეცხლი გაუჩნდა. ტილოზედ კიდევ შეამჩნევთ ბუნდოვან წინწკლებს, რომელსაც ახლოს არასოდეს არ დაკვირვებიან. 1898 წ. საეკლესიო ხელოვნების ნაწარმოებთა გამოფენის გამო, ტურინში სასახლის მხატვარმა მიიღო ნება ფოტოგრაფიული სურათი გადაეღო ამ წმინდა ნაშთისა. წარმოიდგინეთ, როგორ განცვიფრდენ, როდესაც ამ ბუნდოვანმა სურათმა ერთი და იგივე სახე ორი მხრივ გამოაჩინა, წინიდან და უკანიდან. ამ ორმა სახემ გარდამოხსნაზედ წარმოადგინა ის, რასაც ფოტოგრაფიაში ნეგატივს უწოდებენ, და შუშამ ამ სახეების გადაღების შემდეგ ისეთი ნაწილები გამოაჩინა, რომელთა გარჩევაც შეუძლებელი იყო ადამიანის თვალით,—სახელდობრ, ჯვარცმული ადამიანის სურათი, რომელიც იესო ქრისტეს ემსგავსებოდა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ორი წლის შემდეგ, მიუხედავათ იმისა, რომ ამ ნახატის არსებობა ბევრმა კათოლიკემ იცოდა,—ის დაავიწყდათ. მაგრამ ასე ერთი წლის და ნახევრის წინათ ამ ნაშთის ერთ ერთი სურათი ჩაუვარდა ხელში ერთ ახალგაზრდა დოქტორს პოლ ვინიონს, ზოოლოგიის მასწავლებელს პარიჟის საღვთის-მეტყველო სასწავლებელში, რომელმაც გადასწყვიტა მისი განხილვა და შესწავლა მეცნიერულის მხრივ, ამ მოკლე ხანში კი ერთ ერთი გაზეთი აუწყებდა სამეცნიერო აკადემიას ამ გამოკვლევის შედეგს, კოლსონის თანამშრომლობით, რომელიც პოლიტეხნიკური შკოლის მასწავლებელია.

ორივე მეცნიერი ამტკიცებს, რომ სახის გამოხატულება ტურინის გარდამოხსნაზედ წარმომდგარია ქიმიურ ზედ მოქმედებით და ნამდვილი გამომხატველია იმ სხეულის, რომელიც ამ გარდამოხსნაში იყო გახვეული. პირველ ყოვლისა პოლვინიონი ეცადა გაებათილებია ის აზრი, ვითომ ტურინის გარდამოხსნა დაწერილი იყო სავოიის სახლის საკუთრებად გახდომამდის. ამის წინააღმდეგ ის ამბობს, რომ გარდამოხსნის მხატვრობა არ წააგავს მე-XIV საუკუნის მხატვართა ხელოვნურ ნაწარმოებებს. გარდამოხსნაზედ თითქმის არც კი ჩანს ნათლად სურათი, მხოლოდ წინწკლებია ცოტა მობნელო და ძლიერ ნაზი. ზოგიერთი ნაწილები კი ისეთი აქვს, რომ მაშინდელ პირობებში მათი გამოხატვა შეუძლებელი იყო. გვერდის ჭრილობა გადატანილია მარცხნივ, რასაც ვერ მოიფიქრებდა მხატვარი. ეკლის გვირგვინის ნადები შუბლზედ კი არ არის, არამედ შუბლზედ მოშორებით; თავზედ სისხლის ოფლის წვეთებს არ აქვთ ის ძველი ჩვეულებრივი ცრემლების შეხედულება, როგორც ერთ-ერთ საშუალო საუკუნოების მხატვარს ქონდა გამოყვანილი, პირი-სახე დანაოჭებულია და ამ ნაოჭებიდგან შეგუბებული სისხლი კუმშა-კუმშად აზის სახეზედ. ამასთანავე სხეული იყო შიშველი და მათრახის ნაცემ ხორცში იყო ჩამჯდარი. დასასრულ,—რაც უფრო ყურადღება მისაქცევია—გარდამოხსნის მხატვრობა წარმოადგენს ნეგატივს. მხატვრობის სახის წყობილება ზოგან დარღვეულია და ამობურცული ნაწილები უფრო ნათლად სჩანან, ვიდრე ჩაღრმავებულნი. მაშასადამე აქ რაღაც ქიმიური ზედ-მოქმედება ყოფილა იმდენად უფრო ძლიერი, რამდენადაც გარდამოხსნა სხეულზედ იყო მიკრული. და აი ვინიონი და კოლსონი, შეისწავლეს რა ამ ქიმიური ზედ-მოქმედების კანონები, მივიდენ იმ დასკვნამდე, რომ იესო ქრისტეს სხეული პირდაპირ აღიბეჭდა გარდამოხსნაზედ. ცინკის ორთქლის საშუალებით და ფოტოგრაფიული შუშებით, იმათ გამოაკვლიეს, რომ სხეულს, რომელიც ამონიუმი ორთქლის*) ზედ გავლენის ქვეშ არის, გადადის სავსებით ტილოზედ. თუ მივიღებთ სახეში, რომ არმენაკის ხმარება, გარდაცვალებულთა სუდარაში გახვევისათვის, გავრცელებული იყო ებრაელთა შორის და ქრისტეს გარდამოხსნაც იმავე საშუალებით იყო მომზადებული, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ტურინის გარდამოხსნაზედ ჩვენ ვხედავთ ფოტოგრაფიულ სურათს, რომელიც ქიმიური ზედ-მოქმედებით წარმოსდგა. რამოდენიმე წლის შემდეგ, ახალ-გაზდა მკვლევრები ჩავიდნენ სარწმუნო დასკვნამდე. ამას გარდა ადამიანის ოფლი, შემდეგ წამებისა (რომლითაც ჯვარცმულმა იესო ქრისტემ გაატარა უკანასკნელი წამი გოლგოთაზედ), ყოველთვის უშვებს ორთქლს. ამ ნაირად იმ მხატვრობის წარმოდგომის ახსნა, რომელიც ტურინის გარდამოხსნაზედ არის, შეიძლება სულ ადვილად: თუ დავემყარებით ზემოდ მოყვანილ

*) ამონიუმი ორთქლი,—რომელიც წარმოსდგება ნახშირ-ბადისა და წყალ-ბადის შეერთებისაგან.

გამოკვლევებს, შეიძლება ვსთქვათ, რომ ეს იყო გამოხატულება ვისიმე სხეულისა, რომელიც სუდარაში იყო გახვეული. საჭიროა დავამტკიცოთ, რომ ეს იყო სხეული ქრისტესი, რის დამტკიცებასაც ეცადა ბ-ნი დელაჟი პარიჟის სამეცნიერო აკადემიის წინაშე. ვინიონისა და კოლსონის გამოკვლევებმა დაამყარეს, რომ ეს წმიდა ნაშთი დიდ ხანი შეადგენდა ბიზანტიის იმპერატორების საკუთრებას. რასაკვირველია, პოლემიკა არ დაიგვიანებს ამ საგანზედ და ეხლაც ცნობილმა საფრანგეთის ქიმიკოსმა ბერტელლომ, პარიჟის სამეცნიერო აკადემიის კრებაზედ, დელაჟის რეფერატის დასკვნა სცნო ფანტაზიურად, და დაუმატა, რომ ლეგენდა ამ წმინდა სუდარაზედ გავრცელდა 591—594 წლებში და რომ ამისთანა სუდარები არის არა ნაკლებ 39. მაგრამ, როგორც უნდა იყოს, დიდებულია სიმშვენიერე ამ საუცხოვო მხატვრობისა და გამოუთქმელია გრძნობა, რომელიც იმის მნახველთ უნდა იპყრობდეს; თითონ მისი გამოკვლევის საიდუმლოებამ არ შეიძლება არ აღძრას სურვილი ვინიონის და კოლსონის შრომის გაცნობისა.

საქართველოს საეკლესიო ისტორიის კათედრის დაარსების შესახებ პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში.

სამი წელიწადი უნდა იყოს, რაც საქართველოს საექსარხოსოს ყოვლად სამღვდელოთ უწმიდესს სინოდს მოხსენება მიართვეს, რომელშიაც სთხოვდნენ პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში საქართველოს საეკლესიო ისტორიის კათედრის დაარსებას. ამ საგნის განსახილველად ორი კომისია შესდგა; უკანასკნელმა გამოსთქვა თვისი აზრი, რომელიც მოყვანილია პეტერბურგის სასულიერო აკადემიის საბჭოს კრების ჟურნალში 29 აპრილს 1902 წელსა; ეს ჟურნალი მოთავსებულია ჟურნალ «Христіанское Чтеніе»-ში, ტ. CC XIV, ოქტომბერი 1902 წ. მოგვყავს აქ სიტყვა სიტყვით ეს აზრი კომისიისა:

„განვსაჯეთ რა ზემოხსენებული კითხვა და მივიღეთ რა სახეში ამასთანავე საქართველოს საექსარხოსოს ეპისკოპოზთა მოხსენებითის ბარათის შინაარსი შესახებ საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკუთარი კათედრის დაარსებისა ს.-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში და აგრეთვე აზრი ამაზედ შემდგარის წინად კომისიისა, პატივი აქვს კომისიას წარმოუდგინოს აკადემიას შემდეგი მოსაზრებანი აკადემიის მეცნიერების ფაქტიურ დებულებაზედ და მის მოთხოვნილებებზედ დაფუძნებულნი.

საქართველოს ეკლესიის ისტორიის შემუშავება რომ სასურველია, ეს ეჭვს გარეშეა, როგორც ყოველის სამეცნიერო საგნის კვლევაა სასარგებლო. როდესაც სახეში გვაქვს კითხვა ახალის კათედრის დაარსების შესახებ აკადემიაში, მაშინ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ერთის მხრით საეკლესიო-საისტორიო მეცნიერების ნამდვილი მოთხოვნილებანი იმგვარად, როგორადაც ის შემუშავებულია და ასწავლება ამ ჟამად სასულიერო აკადემიებში, მეორეს მხრით—საეკადემიო სამასწავლებლო პირობანი, რომელთაგანაც დამოკიდებულია პრაქტიკული განხორციელება ამა თუ იმ საგნისა.

ამ მხარეების განხილვის შემდეგ, კომისია დაადგა ამის შესახებ იმ დასკვნას, რომ აკადემიის მეცნიერების მოთხოვნილებას შეესაბამება და განსახორციელებელიცაა პრაქტიკულად დაარსება აკადემიაში სპეციალურად არა მხოლოდ საქართველოს ეკლესიისა, არამედ საზოგადოდ საბერძნეთის—აღმოსავლეთის ეკ. ისტორიის კათედრისა, შემდეგ მისი განყოფისა მე-IX საუკუნეში დასავლეთის ეკლესიისაგან. ამ საგნის პროგრამმაში ყოვლის უწინარეს უნდა შედიოდეს საბერძნეთის ეკლესიის ისტორია დაწყებული ზემოხსენებულის დროიდამ და შემდეგში ისტორია საქართველოს ეკლესიისა და სხვათა უცხოეთის ქრისტიანულ აღმოსავლეთის საზოგადოებათა, რომელნიც თვისის ისტორიულის ცხოვრებით დაკავშირებულნი არიან ბიზანტიასთან.

ა) ცალკე კათედრის დაარსება თუნდაც ერთერთ აკადემიაში სახელდობრ იმ პროგრამმით, რომელშიაც პირველს ალაგას უნდა იყოს ბიზანტიის და საზოგადოდ ძველის საბერძნეთის ისტორია, მიუცილებელს საჭიროებას შეადგენს, მიუხედავად საქართველოს ისტორიის შემუშავების თაობაზედ კითხვის შეხებისა. ბიზანტიის საეკლესიო ისტო-

რიის თავის თავად მნიშვნელობა როგორც აღმოსავლეთის მართლ-მადიდებლობისა და კერძოთ ის მნიშვნელობა, რომელიც ჰქონდა ბიზანტიის ეკკლესიას და მის კულტურას, რუსეთის ეკკლესიას და მის ერთან ვალად უდგენს რუსეთის მეცნიერებას სასულიერო და საერო გულს-მოდგინებით და ყოველის მხრით შესწავლულ იქმნეს ბიზანტიის საეკკლესიო და სამოქალაქო ისტორია და კულტურა. ამ ჟამად ძველი საბერძნეთის საეკკლესიო ისტორიას და აგრეთვე შემდეგ ისტორიას მართლ-მადიდებელის ეკკლესიისას თურქთა გავლენის ქვეშე მყოფობის დროს, გადიან საზოგადო საეკკლესიო კათედრასთან. ვინაიდგან ეკკლესიების განყოფილებაში მრავალი მასალაა საეკკლესიო ისტორიისათვის, ამისათვის ამ კათედრის წარმომადგენელისათვის შეუძლებელია გულ-დასმით შეიმუშავოს და იკითხოს დაწვრილებით კურსი აღმოსავლეთის ძველის საეკკლესიო ისტორიისა და შემდეგის ისტორიისათვისაც საზარალო არ გახდეს. უკეთუ საზოგადო საეკკლესიო ისტორიდამ გამოვაკლებთ საქართველოს საეკკლესიო ისტორიას, საჭიროა ამისათვის ყოვლის უწინარეს ძველის საბერძნეთის ისტორიის გამოცალკევება თუ გვსურს სპეციალურად შემუშავდეს ეს უკანასკნელი. ამ შემთხვევისათვის საზღვარი იქნება მე-IX საუკუნე დასავლეთის და აღმოსავლეთის ეკკლესიების განყოფის დრო და ის ხანა, როდესაც რუსეთი პირველად დაუკავშირდა ბიზანტიას და ქრისტიანობამ პირველი ნაბიჯი გადადგა რუსეთში. რაც შეეხება ამასთანავე სხვა არა ბერძენთა ეკკლესიის ისტორიის სწავლებასა, ეს დიდს შრომას არ მოითხოვს, რადგან მასწავლებლის ყურადღება მიქცეული მაინც იქმნება მათს ისტორიაზედ, რომლისათვისაც საკმაო მასალაც მოიძებნება.

ბ) ამისთანა კათედრის გახსნის საფუძვლიანობას ვიპოვით ჩვენ თვით აკადემიის 1884 წ. წესდებულებაში და მის გამოცემამდე ყოფილს პრაქტიკაში. აკადემიების სასწავლო საგნების წესდებულებაში (§ 100) მსოფლიო ეკკლესიასთან ერთად ეკკლესიების გაყოფამდე არის საგანი მართლ-მადიდებელის აღმოსავლეთის ეკკლესიის ისტორია (შემდეგ განყოფისა), ანუ საბერძნეთ-აღმოსავლეთისა (იხ. **объяснит. записка къ проекту устава**). აკადემიის კურსის მსწავლებელთა შორის მოხსენებულია აგრეთვე მსწავლებელი მარტო საზოგადო საეკკლესიო ისტორიისა და რუსეთის ეკკლესიის ისტორიისა. ალბად, ცალკე მსწავლებელის უმექონლობისა გამო საბერძნეთ-აღმოსავლეთის ეკკლესიის ისტორიისათვის შემდეგ ეკკლესიების განყოფილებისა, ეს ისტორია შეერთებულია საზოგადო საეკკლესიო ისტორიასთან. წინეთ, 1884 წლამდე იმას ჰყავდა ცალკე წარმომადგენელი, რომელიც მასთან ერთად ასწავლიდა დასავლეთის ეკკლესიის ისტორიას. ამ ჟამად საქმე ისე მოეწყო, რომ უფრო ნაკლებ პირობებში ჩადგა იგი დასავლეთის ისტორიასთან შედარებით.

გ) უკეთუ ცალკე საგნად იქმნება ბიზანტიის საეკკლესიო ისტორია, მაშინ უკეთეს პირობაში ჩადგება აკადემიაში საქართველოს საეკკლესიო ისტორიის შემუშავება, ბიზანტიის და საქართველოს ეკკლესიების დაკავშირებაზედ მოხსენებულია ბროშიურაში შემდეგის სათაურით („Назрѣвшій вопросъ“ ко дню присоединенія Грузіи къ Россіи, Тифлисъ 1902 г.), რომელიც დართულია საქართველოს საეკკლესიო მუზეის კომიტეტის შუამდგომლობასთან, შესახებ საქართველოს საეკკლესიო ისტორიის კათედრის დაარსებისა. ბროშიურაში სწერია: „რუსეთის ბიზანტოლოგია ვალდებულია შეიმუშაოს და გამოიკვლიოს საქართველოს სიძველენიო“ (გვ. 14). მაგრამ რუსეთის ბიზანტოლოგია ყოვლის უწინარეს უნდა სცდილობდეს თვით ბიზანტოლოგია გახდეს განსაკუთრებულ საგნად აკადემიაში; მაშინ კი შეიძლება, რომ იგი შეუდგეს საქართველოს სიძველეთა გამოკვლევას.

საზოგადოდ, თუ ცალკე საგნად გახდებოდა ძველის საბერძნეთის ისტორია საქართველოს ეკკლესიის და სხვა ქრისტიანულ საზოგადოებათა ისტორიასთან შეერთებული, მაშინ იგი წარმოადგენდა პირველ საფეხურს საქრისტიანო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის თანდათან სპეციალურ გამოკვლევისასა და აქედამ შესაძლებელი შეიქმნებოდა ამ მიმართულებით მსვლელობა იმის და მიხედვით, თუ რა საჭიროებანი გამოჩნდებოდნენ. ეხლავ რომ საქართველოს ეკკლესიის ისტორიის შემუშავება დაწყებულიყო სანამ უფრო უსაჭიროესი მოთხოვნილებანი აკადემიის სასწავლო მეცნიერებისა არ დაკმაყოფილებულან, უმიზნო გამოვიდოდა. ამასთანავე უნდა შევნიშნოთ კიდევ ისა, რომ უკეთუ საქართველოს ეკკლესია ავალებს რუსეთის საღვთის-

მეტყველო მეცნიერებას მისის წარსულის შემუშავებას, ვინაიდგან მას არაოდეს არ უღალატნია მართლ-მადიდებლობისათვის და მჭიდროთ შეკავშირებული იყო რუსეთის ეკკლესიასთან, მაშინ ისიც უნდა მივიღოთ შეუცვლელ ფაქტად, რომ საქართველოს საეკკლესიო ლიტერატურა მეცნიერების მხრივ მთლივ უფრო ნაკლებ დაფასდება, ვინემ ამისთანავე ლიტერატურა, მაგალითად სირიულსა და სომხურს ენებზედ; იგი გადმოთარგმნილია სირიულ და საბერძნეთ-ბიზანტიის მწერლობიდგან, ყოველს შემთხვევაში მისი დაფასება მომავლის საქმეა. ამ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება საქართველოს საეკკლესიო ისტორიის კათედრის დაარსების თაობაზედ კითხვის განხილვის დროს.

დ) ასე თუ მოეწყო საქმე, მაშინ ადვილია განხორციელება ამ კითხვისა. ცალკე საგნად თუ გავხდით საქართველოს საეკკლესიო ისტორიას, ანუ საზოგადოდ არა ბერძენთა აღმოსავლეთის ქრისტიანულ საზოგადოებათა ისტორიას (განსაკუთრებულის ყურადღების მიქცევით საქართველოს ეკკლესიაზედ, მაშინ ასე საქმის დაყენება იქნებოდა ნაადრევი იმისთვის, რომ პრაქტიკულად მას ბევრი დაბრკოლება გამოუჩნდებოდა მსმენელთა უმეცრობისა გამო აკადემიაში და თუ იქნებოდენ, ისიც მოუმზადებელნი ფილოლოგიურის მხრივ, რომ დაუბრკოლებლად ამ საგანში ემაცადინებიათ და არც საკმაო ინტერესს გამოიჩენდენ იმის მოსასმენად. თუ განსაკუთრებული ყურადღება იქმნებოდა მიქცეული არა ბერძენთა ერის ისტორიის და სიძველის შესწავლაზედ, მაშინ საჭირო იქმნებოდა აღმოსავლეთის ენების შესწავლა, როგორც მასწავლებლის, ისე მსმენელთა მხრივ. ეს თუ მასწავლებლისათვის შესაძლებელი იქმნებოდა, მსმენელთათვის ხომ მაინც შეუძლებელია მოუმზადებლობისა გამო. აღმოსავლეთის ენებს, ქრისტიანულ აღმოსავლეთის შესასწავლად საჭიროა, კერძოდ ქართულს და სომხურს აკადემიაში არ ასწავლიან, მხოლოდ ხან-დის-ხან აუწყებენ, (არა ყოველ წლივ) ებრაული ენის ლექციის დროს, ცნობებს სირიულს ენაზედ სიტყვიერების განყოფილების სტუდენტებს. ამ პირობაში ჩამდგარს ახალს კათედრას სრულებით არ ეყოლებოდა მსმენელნი, რადგან ლინგვისტები ყოველთვის არ გამოჩნდებოდენ. ამ სიძნელიდან დაღწევა შეიძლება მხოლოდ მით, რომ ყოველს წლობით აკადემიაში მოდიან ქართველები. მაგრამ ყოველთვის რომ ბევრი იყვნენ ეს სტუდენტები ამ საგნისათვის, რომელიც სხვისთვის არაა საჭირო და მიუდგომელიც არის მხოლოდ საქართველოს ეკკლესია), ამისათვის თანდათან უნდა იმატოს მათმა რიცხვმა და გადაიდვას ცალკე თანხა მათ შესანახად; ასეც რომ მოხერხდეს ვინ იცის სარგებლობა დაბოლოს გამოვა თუ არა? რადგან ჯერ აღმოსავლეთის ენების შესწავლა არაა აკადემიებში, არა ბერძენთა ქრისტიანების ისტორიის არსებობა შესაძლებელია იქა, როგორც გადასაცემი საგნისა, და როგორც დამატება აღმოსავლეთის საბერძნეთის ისტორიისა".

მღ. კ. ანთაძე.

(გაგრძელება იქნება)

სნეული.

მადლა ცას შეგსთხოვ მუდარით,
ქვეყნად მეტნიერთ გუნდებსო,
რათა განმკურნონ სნეული
სიმრთელე დამიბრუნდესო!

—

რომ ტოტლად დავრჩე ქვეყნადა,
ქვეყნის შვილად მიჩნეული,
სიმრთელ-სიტოტლე მენიჭოს
კვლავ ვისებური, ჩვეული,

—

მაშინ კი მშობელ ქვეყნისთვის
ვიზრუნო ვითა წვეული,
მასვე შევსწირო სიტოტლე
მისგანვე შეძლებული.

—

რომ არ სუფევდეს ვნებათა
ადმძვრელი უნდო გრძნეული,
მისი მტდური თვისება
დავსთრუგნო გარს მოსეული.

—

რათა კერძო ბაწი ~~[illegible]~~ ~~[illegible]~~ [illegible]
განვფენტო ათასეული,
მათს გასაქარწყლად მიუძღვნა
ისარი ლხვრით სრეული.

—

ადარ შეუდრკე მისს ბრბოსა,
ვიბრძოდე ვითა რჩეული,
და კვალი წინასრბედობის
ქვეყნად ნათობდეს ჩნეული!..

—

ამისთვის მინდა სიტოტხლე,
მისთვისვე მრთელი სხეული,
სამრთელე მინდა, სამრთელე,
არ დავრჩე კვალად სნეული!..

როსტომ გუძა.

მიწის ძვრა კახეთში.

(წერილი კახეთიდან)

21 სექტემბერს, ნაშუალამევის 2 საათსა და 15 წამზე მოხდა მიწის ძვრა, რომელიც შენიშნეს მთელს კახეთში. ამ მიწის ძვრისაგან შესამჩნევად არა დაზარალებულა რა. 4-ს ოქტომბერს დილის 11 საათსა და 19 წუთზე ხელ-ახლა მოხდა მიწის ძვრა, რომელიც სხვა-და-სხვა ადგილას ხხვა-და-სხვა სიძლიერით მოქმედებდა. თელავში და საზოგადოდ ალაზან გამოღმა (მარჯვენა ნაპირზე) მიწის ძვრა არ იყო ძლიერი და არც შესამჩნევად დაუზარალებია შენობები. ალაზან გაღმა (მარცხენა ნაპირზე) ს. შილდას ზევით და ს. ყვარელს ქვევითაც ძლიერ შეიძრა მიწა, ძლიერი იყო განსაკუთრებით თვით ყვარელსა და შილდაში. მიწის ძვრის წინად თითქმის მთელი საათი ისმოდა მიწის ქვეშიდან არა ჩვეულებრივი ხმაურობა. ზოგმა ეს ხმაურობა უფრო ადრე შენიშნა ყვარელის ზევით დურუჯის ხეობაში. ამ ხეობას ჩამოჰყვა ხმაურობა და სოფლადაც ისმოდა; ზედ დატანებით მიწის ძვრაც მოხდა.

მიწის ძვრამ ყვარელში დააზიანა ორი ეკკლესია, სახელდობრ წმ. ნათლის მცემლისა და ფერისცვალებისა და 55 სახლი და სხვა შენობა. ეკკლესიებში თაღები და კედლები დასკდა ისე ძლიერ, რომ ადგილობრივ მთავრობის განკარგულებით ეს ეკკლესიები დაკეტილია. სახლებსა და მარნებში ზოგგან კედლები დაიქცა, ზოგგან დასკდა, ზოგან ქვევრები დაირღვა და ღვინო დაიღვარა. უზიანოდ თითქმის არც ერთი შენობა არ გადარჩენილა, ხოლო შესამჩნევად 55 ფენობა დაზიანდა. ისეთი დიდი და მკვიდრი შენობებიც დაზიანდა, როგორიც არის არჩილ, ილია გრიგორის ძისა, იურა, ირაკლი, გიორგი და სხვა ჭავჭავაძეებისა. შილდაში ამავე მიწის ძვრამ დააზიანა ორი ეკკლესია და 26 სახლი.

4 ოქტომბრიდან დაწყებული 22 ოქტომბრამდე ყოველ ღამე, უფრო შუალამის შემდეგ—მიწის ძვრა იყო ს. ყვარელსა და შილდაში. 4 ოქტომბრიდან 11-მდის ხალხი ეზოებში სცხოვრობდა, მერე ზოგი შევიდა სახლში. საზოგადოდ, მიწის ძვრის სრბოლა შემჩნეულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, ცოტა დაგეზებით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. თვითეული მიწის ძვრა თან-და-თანობით ადიდებს დახეთქილ კედლების დაშორებას, თითქო ნელ-ნელა ამზადებს დასანგრევადაო. ყვარელში თითქმის მთელ სოფელში ბუხრებია დანგრეული. საცხენისის სკოლის შენობის ბუხრები, რაც სახურავს აცილებული იყო, მთლად მონგრეულია. 4 ოქტომბერს გამოსული მოსწავლენი ვეღარ შეიყვანეს სახლში, ღამეც ეზოში გაათიეს გამოტანილ ლოგინებზე. მართალია, ორი-სამი ღამის შემდეგ ზოგი ისევ შევიდა სახლში, მაგრამ 26-მა მოსწავლემ უარი განაცხადა შესვლაზე და კიდევ რამდენსამე ღამეს კარში დარჩნენ.

4-ს ოქტომბერს მიწის ძვრის დროს საქონელი ს. ყვარელისა და შილდისა მინდორში იყო. იქამდის ძლიერი იყო მიწის ძვრა, რომ ბევრი საქონელი წაიქცა, დანარჩენთ ბღავილი დაიწყეს, თვით მწყემსებიც ბევრნი წაქცეულან. ფრინველებმა საშინელი ხმაურობა ასტეხეს. ასევე იყო თვით სოფლებშიაც. ყვარელი და შილდა დაშორებულნი არიან 8 ვერსით. შილდიდან 3—4 ვერსის მანძილზე არის ალმატი, საბუე, ენისელი. მარტო შილდასა და ყვარელში ინძრა მიწა ძლიერ, სხვაგან ასე ძლიერად არა ყოფილა. ამას გარდა მარტო ყვარელსა და შილდაში იყო ყოველ ღამე 4-დან 11-მდის და შემდეგაც. ყვარელში თითქმის ყოველ წელიწადს არის მიწის ძვრა. როცა შემახაში იყო მიწის ძვრა, ყვარელშიაც იყო. ამ დღეს ვინც ყვარელის მთაზე (კავკასიონის) ყოფილა, იმას უგრძვნია საშინელი გოგირდის სუნი, ვინც დურუჯის ხეობაში მოჰყოლია მიწის ძვრის დროს, უგრძვნია ნავთის სუნი. 1898 წელს გაზაფხულზე ყვარელში საშინელი ნიაღვრობა იყო, რომელმაც ერთი მესამედი სოფელი

წალეკა. თვით ნიაღვარი შესდგებოდა ტალახისაგან, რომლის ზევითი პირი მალე გამაგრდა, ისე რომ კაცსა და პირუტყვს ზედ სიარული შეეძლოთ. სადაც შეიკრა ზედა პირი ამ ნიაღვარმა, მთელს მანძილზე ეს ზედა პირი ხალხისა და პირუტყვის მოძრაობის დროს ქანაობდა, როგორც წყალზე ვრცელი ნატეხი ყინულისა. თუ სადმე ჩატყდებოდა, ქვეშ ისევ ტალახი იყო. როცა გაშრა, ამ ზედაპირმ უფრო პირი შეიკრა, ახლა ამ ადგილას არც ტალახი იცის და არც წყალს იყენებს. ნიაღვრობის დროს ამ ტალახს ძლიერი სუნი ჰქონდა კუპრისა. ხალხში გადმოცემად არის დარჩენილი, რომ შილდის მთაში იმ მხრივ, სადაც ყადორის ციხეა, ცეცხლის მფრქვეველი მთა იყოვო. ყველა ეს დიდად საყურადღებოა და ღირსი მეცნიერთა გამოკვლევისა. („ცნ. ფურ.")

სასამართლოს მატიანე.

19 ოქტომბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე გაზ. „ცნობის ფურცლის" რედაქტორად ნამყოფის ალექსანდრე მირიანის ძის ჭყონიასა და საჩხერის სამრევლო სკოლის მასწავლებლის სერგო ჯინჭველაშვილისა. პირველს ბრალდებოდა დიფამაცია (თანახმად სასჯ. დებულების მე-1039 მუხ.), ხოლო მეორეს—კორესპონდენციის საშუალებით საჩხერის სამკურნალო ექიმად ნამყოფის თავ. მიხეილ ლორთქიფანიძის შეურაცხება. საქმის გარემოება საბრალმდებლო ოქმში ასეა აღნიშნული: „ცნობის ფურცლის» 1901 წლის მე-152 ნომერში მოთავსებული იყო საჩხერიდან გამოგზავნილი კორესპონდენცია, რომელიც საზოგადოდ შეეხებოდა საჩხერის ავ-კარგს. სხვათა შორის, კორესპონდენციაში ნათქვამი იყო შემდეგი: „მართველობას გარდაუწყვეტია და მთავარ-მართებელსაც დაუმტკიცებია, რომ საავადმყოფო გადატანილ იქნეს ს. ხარაგაულში (ბელაგორი), სადაც საზოგადოებას დიდი შემწეობა აღუთქვამს ქსენონისათვის. ახლა კი იკადრეს აქაურებმა თხოვნის მირთმევა საექიმო მმართველობისათვი, რომ საავადმყოფო ისევ საჩხერეში დარჩეს და შენობას ყოველ წლიურად ვიქირავებთო, მაგრამ, საქმე რადგან გადაწყეეტილი იყო, უარი უყვეს. თუმცა ეს ორი წელიწადი ნამეტანი უწესოება სუფევდა საავადმყოფოში (ავადმყოფებს ექიმი არ ღებულობდა 11—12 საათამდი, ხშირად ავადმყოფების მიღება მინდობილი ჰქონდა ფერშლებს და ექიმი სოფლებში იყო. წამლებს ავადმყოფებს საავადმყოფოს აფთიაქიდან ცოტას აძლევდნენ და ყოველთვის რეცეპტებით კერძო აფთიაქში ისტუმრებდნენ და სოფლებში წასვლის დროს ფეხის ფასს უზომოს ახდევინებდნენ), მაგრამ ყველა ამის მოსპობა შეიძლებოდა და უექიმოდ არ დარჩებოდნენ მკვიდრნი. ამის შემდეგ ვის უნდა მიმართოს ამადმყოფებმა? ისევ უნდა ჩაუცვინდნენ ხელში სოფლის მყვლეფავ ექიმ-მკითხავებს». ამ კორესპონდენციის გამო ექიმს თავ. მიხეილ ლორთქიფანიძეს განცხადება გადაუცია ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებლისათვის და უთხოვნია, პასუხის გებაში მიეცათ და დაესაჯათ, როგორც რედაქტორი გაზეთისა ბ-ნი ჭყონია, ამ კორესპონდენციის მოთავსებისათვის, ისე კორესპონდენციის ავტორი ს. საყულიელი. რადგანაც ლორთქიფანიძეს საყულიელის ვინაობა არ დაუსახელებია განცხადებაში, იმიტომ იმის პასუხის გებაში მიცემაზე პალატას უარი უთქვამს. ამის გამო ლორთქიფანიძეს დამატებით თხოვნა შეუტანია პალატაში და განუცხადებია, კორესპონდენციის ავტორი და ჩემი შეურაცხმყოფელი საჩხერის სამრევლო სკოლის მასწავლებელი სერგო ჯინჭველაშვილიაო.

პალატაში ამ საქმის გარჩევის დროს, მოწმეებად დაბარებულნი იყვნენ თვით ექიმი ლორთქიფანიძე და საჩხერის ნოტარიუსი ბ-ნი აბაშიძე. ლორთქიფანიძემ, სხვათა შორის, განაცხადა, რომ ბევრჯელ იყო ისეთი შემთხვევა, რომ ავადმყოფები 11—12 საათამდე ვერ მიმიღია, რომ ვაჭრებისა და თავადებისათვის წამალი არ მიმიცია და კერძო აფთიაქებში გამიგზავნია და რომ ფერშლებს ხშირად ჰქონიათ მინდობილი ავადმყოფების მიღება და წამლობაც. მოწმემ დიმიტრი აბაშიძემ სთქვა: ამ ოქმის შესახებ ის ვიცი მხოლოდ, რომ კორესპონდენციის შემდეგ ლორთქიფანიძე მეტად გამწარებული იყო; მკითხა კიდეც ვინ არის საყულიელიო. მე ვუთხარი, საყულიელი მასწავლებელი ჯინჭველაშვილია-მეთქი. ეს თვით ჭინჭველაშვილისაგან გავიგე, რომელიც გამომიტყდაო. ამაზე ბრალდებულმა ჯინჭველაშ-

ვილმა განაცხადა, რომ აბაშიძისათვის არ მითქვამს, საყულიელი მე ვარ. ვუთხარი მხოლოდ იმ კორესპონდენციის შესახებ, რომელიც მოთავსებული იყო წინად. საყულიელი შეიძლება ოცი სხვა იყოს და მე რად უნდა ვაგო იმათ მაგიერ პასუხიო.

მოწმეების გამოკითხვის შემდეგ, ბრალმდებელმა ბ-ნმა ლემერმანმა უმთავრესი ყურადღება მიაქცია კორესპონდენციის იმ ადგილს, რომელიც შეეხება ეკიმს და აღნიშნა, რომ ამ სიტყვებში ისეთი არაფერია, რაც ეკიმ ლორთქიფანიძის სახელს ამცირებდეს; ბრალდება მე-1039 მუხლის ძალით არ ეხება არც რედაქტორს ჭყონიის და არც ჯინჭველაშვილს, ამიტომ იმათ ბრალმდებლობაზე უარს ვაცხადებთ.

პალატამ ცოტა ხნის თათბირის შემდეგ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც უდანაშაულოდ იცნო ჭყონია და ჯინჭველაშვილი. („ცნ. ფურ.")

ახალი ამბები და შენიშვნები.

*** უწმ. სინოდმა განმარტა, რომ სასულიერო უწყების სასწავლებლების (სემინარიებისა და სხვების) მასწავლებელთა და კონსისტორიის მოხელეთა შვილები ისევე უნდა მიღებულ იქმნან ამ სასწავლებლებში, როგორც სამდვდელოთა შვილებიო.

*** „ცნობის ფურცელს" შეუტყვია, რომ აგრონომს ტიმოფეევს განცხადება შეუტანია კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოში—საჭიროა შეიცვალოს ის წეს-რიგი, რომლითაც სამეურნეო საზოგადოება არკვევს სასოფლო სამეურნეო საჭიროებათაო. მისის აზრით, ბროგრამის მუხლ-მუხლად გარკვევა უნდა გადაიდოს და თავდაბირველად უნდა გამოირკვეს ადგილობრივ მეურნეთა მიწათ-მფლობელობის იურიდიული მხარე. მომხსენებელის აზრით, ამ საქმის გამორკვევა გამოამჟღავნებს ბევრ საჭიროებას, რომელნიც დაკმაყოფილებულ უნდა იქმნან უწინარეს ყოვლისა. საბჭოს, როგორც გადმოგვცეს, მოუწონებია ეს აზრი და საზოგადო კრებას გადასცემს განსახილველად.

*** უჯარმასა და გომბორს შუა ფოსტა გაუცარცვავთ, ავაზაკი 8 კაცი ყოფილა; მათგან ზოგი ჩასაფრებულა იორის ხიდ ქვეშ, ზოგიც მახლობელ ტეეში, უჯარმიდან 8—9 ვერსის მანძილზედ. როდესაც ფოსტის ეტლი მოახლოვებულა, ავაზაკნი გამოცვივნულან საფარიდან და თოფები დაუცლიათ, ეტლი გაჩერებულა; გამოსულა სტრაჟნიკი და დაუწყია ბუდიდან თოფის ამოღება; ამ დროს ავაზაკთ კიდეგ უსვრიათ თოფები, იქვე მოუკლავთ სტრაჟნიკი და დაუჭრიათ ფოსტალიონი; მეეტლე მაშინვე გაქცეულა. ავაზაკთ გაუჩხრეკიათ ფოსტა და წაუღიათ ქაღალდისა და ვერცხლის ფული 5800 მან.; იქვე ცოლკე აბგაში ეოფილა 2 ათას მანეთის ოქრო, რომელიც ავაზაკთ ვერ უნახავთ და დაუტოვებიათ. ბატარა ხნის შემდეგ გაცარცვის ადგილას გამოუვლია ტფ. სამოსამართლო პალატის წევრს რუსანოვს, რომელსაც დაჭრილი ფოსტალიონი გომბორს წაუყვანია.

*** მოგვივიდა მე-X ნომერი საუმაწვილო ჟურნალის «ჯეჯილისა". შემდეგის შინაარსით:

1) ჩვენი დვთის-მშობლის ხატი—გ. ფარადაშვილისა; 2) ბედის მაძებარი—ალ. მირიანაშვილისა; 3) სოფლელი და მელა—აკაკისა; 4) შაშვი და მელია (თარგმანი)—ბეს. ვაშაძისა; 5) ათთარი (დუნკეგიჩისა), 6) მელიას ოვგაადასვალი, ზღაპარი (გაგრძელება)—ალ. ნათაძისა; 7) ბატარა დედოფალი (თარგმანი) გაგრძელება—ს. ციციშვილისა; 8) ბელნიერება (ზღაპარი) თარგმანი—ს. კ—სა; 9) ჟან-ბატისტ დიული, ბიოგრაფია (თარგმანი)—ან. წერეთლისა, და 10) ჭვრიტმანი.

*** „ევერიაში" ეკითხულობთ: „კავკასიის ოლქის მზრუნველის კანცელარიის ცნობით, ის ხმა, რომელიც მზრუნველის გადაყვანას შეეხებოდა, სიმართლეს მოკლებულია; მზრუნველი ტფილისში ჩამოვა 29 ოკტომბერს».

*** საეკლესიო მუზეუმში არის ერთი ძველი ხატი, შესანიშნავი მისის იკავით (ადეით), ზემოდ მაღჩანს სული წმიდა, მარცხნივ საუკუნო მამა, მარჯვნივ ძე დვთისა, საუკუნო მამის გვერდით წმინდა ნინო, დვთის ძის გვერდით მწყემსი, ცხვრები. წმიდა ნინოს ხელში უჭერია ჯვარი ვაზისა. გაშლილის ასეთი, რომელზედაც ასომთავრულით წერია: «ჯვარი, შეკრული თმითა ოფლად წმიდისა დვთის მშობლისათა».

შატბერდის კრებულში კი (მეX-ე საუკ.) წერია, რომ წმ. ნინომ ვაზის ნასხლეტისაგან ჯვარი გააკეთა მცხეთაშიო. საქართველო ამ თავითგე ვენახით იყო განთქმული და საკვირველი არ არის, რომ წმ. ნინომ თავის მოძღვრების განმტკიცებლად ევერიაში იხმარა ჯვარი ვაზისა.

*** 10 ოქტომბერს ტფილისის სამოსამართლო ბალატამ განიხილა საქმე სპარსეთის ქვეშევრდომის ჰუსეინ რაჰიმ-ოღლისა, რომელსაც ჭბრალდებოდა მარიამ კოსაკოვსკის მოკვლა და ექიმის ვოინოს დაჭრა. საქმის გარჩევა დაიწყო დილის 10 საათზედ. ხალხი ძალიან ბევრი დაეწერა; ზოგი უადგილობისა გამო გარედ დარჩა. ბრალდებულს იცავდა ნიფეცი ვექილი არწრუნი. ოდქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო ჰუსეინ რაჰიმ-ოღლი კოსაკოვსკის მოკვლისა და ვოინოს მოკვლის განზრახვისათვის და კადაუწყვიტა ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და 20 წლით კატორგაში გაგზავნა, ბრალდებულმა საქმე კადაიტანა სამოსამართლო ბალატაში. ბალატამ რამდენიმე წამის შემდეგ, კამოატხადა განაჩენი, რომლითაც დამნაშავედ იცნო ჰუსეინ-რაჰიმ-ოღლი და დაამტკიცა ოდქის სასამართლოს განაჩენი.

*** როგორც ჭიათურიდგან გვწერენ, იქ ცნობა მიუღიათ, რომ ბ-ნი გიორგი დეკანოზიშვილი მისულა ბრაზილიაში და კიდეც დაუთვალიერებია იქაური მრგანეცის მადნები. სხვათა შორის, მოლაპარაკებს ჭმონია ბრაზილიისა და ჭიათურის მრეწველთა შეერთების შესახებ; იქაურნი მრეწველნი სიამოვნებით მიჭვებებიან ამ აზრს. („ცნ. ფ.")

*** „ჩერნ. ვესტნიკ"-ის სიტყვით, ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციას კადაუწყვეტია დაარსოს ბათომს, ართვინს და სოხუმს განსაკუთრებული კომისიები, რომელთაც დაევალება ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა გამოკვლევა. კომისიების თავმჯდომარეებად იქმნებიან ოდქების უფროსები; კომისიებში მონაწილეობის მისაღებად კერძო კაცთაც მიიწვევენ.

*** სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკის განყოფილება ტფილისში აცხადებს, რომ მომავალ დეკემბერის 12 რიცხვისათვის დანიშნულია პირველი ვაჭრობა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის იმ მამულებისა, რომლის პატრონებს ხვედრი შესატანი დროზე შეტანილი არა აქვთ. თუ ამ დღეს მამულები არ გაიყიდა, ხელ მეორე ვაჭრობა იქმნება კამართული იმავე დეკემბრის 30 რიცხვს. ვაჭრობა ტფილისში მოხდება ბანკის განყოფილების სადგომში.

*** საერო განათლების სამინისტრომ ერთხელ კიდევ განმარტა, რომ ისინი, ვისაც ჭსურთ შინა ადმზრდელისა და მასწავლებლის წოდება მიიღონ, ქრისტიანები უნდა იყვნენ. სხვები (მათ შორის მაჰმადიანებსაც) არ შეიძლება ამ გვარ ადმზრდელისა და მასწავლებლის მოწმობა მიეცესო.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილდღეობაზე.

მართლმადიდებლობით—ქრისტეანებრივის საეკლესიო საზოგადოებითის დვთის მსახურების განმარტება.

(გაგრძელება*)

2) „მშვიდობისათვის ყოველისა სოფლისა, კეთილდღეობისათვის წმიდათა დვთისა ეკკლესიათა და ყოველისა ერთობისათვის უფლისა მიმართ ვიდოცოთ".—დიდი კვერექსის პირველ თხოვაში მლოცველნი ღმერთსა სთხოვენ მშვიდობასა თავისა თვისისათვის; ხოლო მეორე თხოვაში იმავე მშვიდობას ითხოვენ ყოველისა სოფლისათვის, ესე იგი ყოველთა კაცთა, ყოველთა ერთათვის. ქრისტიანეს მმართებს ლოცვა არა მარტო თავისა თვისისათვის, არამედ გარეშე პირთათვისაც. იმან სიკეთე—ბედნიერება უნდა ისურვოს როგორც თავისთვის, ისე ყოველ ადამიანისათვის, მთელის კაცობრიობისათვის. მაცხოვარმა გვასწავა, რომ ჩვენ უნდა გვიყვარდეს ყველანი, განურჩევლად სარწმუნოებისა და ჩამომავლობისა, რომ ჩვენ კეთილი ყველასთვის უნდა ვინდომოთ. ხოლო უპირველესი სიკეთე ადამიანის არის სულის ცხონება, ე. ი. ღმერთთან დაკავშირება და ამიდგან წარმომდგარი მშვიდობა, ანუ სულის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და მუდმივ, შეუცვლელ სიხარულის მოპოვება. ამიტომ ქრისტიანენი თვის ლოცვაში უფალსა უნდა ევედრებოდნენ, რათა მან მშვიდობა—ცხონება მოანიჭოს დედამიწის ყოველთა მკვიდრთა, იმ ხალხთაც, რომელნიც სარწმუნოებრივ წყვ-

*) იხ. „მწყემსი" № 4. 1902 წ.

დიადში იმყოფებიან, რომელთა ჭეშმარიტება არა უწყიან; განსაკუთრებით კი მათ უნდა ისურვონ მტკიცე მშვიდობის დამყარება ქრისტიანეთა შორის. ქრისტიანები თვისს სახელწოდებას უნდა ამართლებდენ; ისინი ნამდვილის ქრისტიანულის ცხოვრებით უნდა ცხოვრობდენ; იმათ უნდა ეტყობოდესთ, რომ მათ ქრისტეს მიერ ნაჩვენები სათნოებანი მართლა შესისხლხორცებული აქვთ და დაახლოვებულნი არიან ღმერთთანა; მაშინ ამით უფლის სახელი იდიდება, და ნათელი, აღნთებული მათ შორის, გადავა იმ ხალხთა ზედაც, რომელნიც ქრისტიანულ სარწმუნოებას არ აღიარებენ. თუ ქრისტიანები მხოლოდ სახელით იქნებიან ქრისტიანები და ნამდვილად კი ქრისტიანულ სათნოებათა და მშვიდობასა მოკლებული იქნებიან, მაშინ ამით ქრისტიანეთა ღირსება დამცირდება და მაცხოვრის სწავლაც არ გავრცელდება.

„ეოვლისა ერთობისათვის“—თუ დედამიწის ზურგზე ქრისტეს სარწმუნოება გამეფდა, თუ ყოველთა ადამიანთა შორის დამყარდა მშვიდობა, სიყვარული ღვთისა და მოყვასისადმი, მაშინ დადგება დრო ყოველთა ერთობისა, მაშინ ყოველნი ადამიანნი მშვიდობიან ცხოვრებას დაიწყებენ, მათ ერთმანეთთა შორის ძმური განწყობილება ექნებათ; მაშინ იქნება ერთი სამწყსო და ერთი მწყემსი.

3) „წმიდისა ამის სახლისათვის, სარწმუნოებითა, სასოებითა და შიშითა ღვთისათა შემავალთა ამსა შინა უფლისა მიმართ ვალოცოთ“.—პირველ და მეორე თხოვნაში ვთხოულობთ მხოლოდ სულიერ სიკეთესა—მშვიდობასა, ე. ი. ცხოვნებასა, ღმერთთან დაახლოვებასა; ხოლო მესამე თხოვნაში ვლოცულობთ ადამიანისთვის სრულიად, ვითხოვთ როგორც სულიერ სიკეთესა, ისე საჭირო ქვეყნიურ სიკეთესა. უფალსა ვსთხოვთ, რათა მან დაკმაყოფილოს კაცის ზნეობრივნი მოთხოვნილებანი, აგრედვე ხორციელნი, სოფლიურნი საჭიროებანიცა, რომელნიც ასე თუ ისე სულიერ განვითარებას, განათლებას ხელს უწყობენ, მაგ. ჯანმრთელობა, გაჭირვება—უბედურებათაგან დაფარვა, საზოგადოებრივ საქმეში წარმატება და სხვა. ამ თხოვნაში ქრისტიანენი ღმერთსა ევედრებიან იმ პირთათვის, რომელნიც ლოცულობენ იმ ეკკლესიაში, სადაც თვით აღავლენენ ღვთისადმი ლოცვასა; სახელდობრ იმ პირთათვის, რომელნიც შემკულნი არიან შემდეგის ღირსებებითა: სარწმუნოებითა, სასოებითა და შიშითა ღვთისათა. სარწმუნოება მდგომარეობს მასში, რომ კაცმა ურყეველად, უეჭვნეულოდ უნდა მიიღოს მაცხოვრის სწავლა. შემეცნებანი ღმერთზედ, იმის დამოკიდებულებაზე კაცთადმი და ადამიანის დანიშნულებაზე. სასოებას უწოდებენ სულის ისეთ მდგომარეობას, როდესაც ქრისტეს სწავლა, გონებით შეთვისებული კაცს გულში ღრმად ენერგება, იდგამს ფესვებს მთელ მის ბუნებაში, როცა ადამიანს თვითოეული სიტყვა ღვთისა ნათლად და ცოცხლად აქვს წარმოდგენილი, როცა იგი სრულიად დაჯერებულია, რომ უფლისა ყოველი აღთქმა-დაპირება შეუცვლელად აღსრულდება, როცა იგი დარწმუნებულია, რომ მას ღმერთი წმიდა ცხოვრებისთვის დააჯილდოვებს, კეთილს მიაგებს, სიხარულითა აღავსებს თუ ამ ცხოვრებაში არა, იმ საუკუნეში უსათუოდ, როცა ის იმედ-ნუგეშსა, კმაყოფილებას და სიხარულს არ კარგავს, რაც უნდა ცუდ, გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდეს, როცა ის ამ სოფელშივე წინად ხედავს, წინად იგემებს სანეტარო, ღვთაებრივ, დაუსრულებელ ცხოვრებასა. „შიშითა ღვთისათა“—ამ სიტყვით იგულისხმება არა უსიამოვნო, შესაზარი შიში, ძრწოლა, არა�შიში, სიყვარულით შეზავებული, ანუ რიდი, კრძალულება. კეთილ-აღზრდილ შვილს თვისი მშობლები განუზომელად უყვარს და თანაც მათდამი ერთგვარ შიშსა გრძნობს, ე. ი. მას სურს და ცდილობს ქმნას ყოველივე ის, რაც მშობლებს მოეწონება, და ერიდება არ ჩაიდინოს ისეთი რამ, რომელიც მათ არ ესიამოვნებათ; ის შიშობს არ გააჯავროს დედ-მამა თვისის ცუდის მოქმედებითა. ამნაირადვე ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანე გამსჭვალული უნდა იყოს შიშითა—მორიდებითა ღვთისადმი; მან უნდა ეცადოს არ მოიმოქმედოს ისეთი რამ, რაც ღვთის ნებას, მისს სწავლას ეწინააღმდეგება, არ შეეფერება, და ამით იგი არ განარისხოს. ამგვარად, მესამე თხოვნაში ვლოცულობთ ეკკლესიაში იმ შემავალთათვის, რომელთაც მაცხოვრის სწავლა ეჭვ-შეუტანელად სწამთ, რომელნიც დარწმუნებულნი არიან, რომ ღმერთი მათ ადრე თუ გვიან კეთილს მიანიჭებს და ყოველ გასაჭირ მდგომარეობაში დამშვიდებულნი არიან, რომელთაც უფალი ღრმად უყვართ და ამასთანავე შიშობენ—ერიდებიან ცოდვა არ ჩაიდინონ და ამით უპატივცემულობა ღვთისადმი არ გამოიჩინონ.

4) „უწმიდესისა და უმართებულესისა სინოდისათვის (ადგილობრივ მღვდელ-მთავრისათვის) პატიოსნთა მღვდელთა, ქრისტეს მიერ დიაკონთა და ყოვლისა სამღვდელოისა დასისა და ერისა მათისათვის უფლისა მიმართ ვილოცოთ“.—მეოთხე თხოვნაში ვლოცულობთ წმ. ეკკლესიის წარმომადგენელთათვის, მოძღვართათვის: სინოდისათვის, რომელიც არის მღვდელ-მთავართა კრება და რომელიც უმთავრესი საეკკლესიო სამართველოა,—ადგილობრივ მწყემს-მთავრისა, მღვდელთა, დიაკონთა და ყოვლისა სამღვდელოისა დასისათვის, ანუ კრებისათვის. ამ პირთათვის უნდა ვისურვოთ, რომ მათ შეიძლონ აღსრულება თვისის მძიმე მოვალეობისა: წარმატებით წინაუძღოდნენ მათდამი რწმუნებულ ერსა, უხელმძღვანელებდნენ სარწმუნოებრივ ზნეობით ცხოვრებაში, მიიყვანონ იგი ღვთისადმი და აცხოვნონ, როგორც თვისი თავი, ისე სხვანიცა. დიდი და ძნელია მოძღვრობა. უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ ზეცას ამაღლების წინ თვის მიერ დაწყებული საქმე—ნათელის მოფენა, ჭეშმარიტების გავრცელება ხალხთა შორის, მათის გამოხსნა ცოდვისგან და ღმერთთან შეერთება—გადასცა, დაავალა თვისს მოწაფეებს—მოციქულებს. ამათმა მაცხოვრის ბრძანება სავსებით აღასრულეს, ახალი მაცხოვარებითი სწავლა თითქმის ყოველთა ერთა შორის იქადაგეს; განხრწნილი, ცოდვებით დაწყლულებული ბუნება კაცთა განაახლეს, გადმოიყვანეს მათზე სული წმიდა, შეიტანეს მათ შორის ნათელი და სიტკბოება საუკუნო ცხოვრებისა. მოციქულებმა თვისის სამსახურის განგრძობა დაავალეს ზოგიერთ ამორჩეულთ პირთა, რომელთა შორის განარჩიეს სამი ხარისხი: ეპისკოპოსობისა ანუ მღვდელმთავრობისა, საკუთრივ მღვდლობისა და დიაკვნობისა. ამნაირად სამღვდელო მსახურება—მოძღვრობა მოციქულთაგან ჩვენამდე განუწყვეტლივ მომდინარეობს, და ახლანდელი მღვდლებიც მოციქულებრივ მოვალეობას ასრულებენ. პირდაპირნი და უახლობელესნი ხელმძღვანელნი—განმანათლებელნი ხალხისა არიან მღვდელნი; დიაკონნი არიან ამათი თანამოსამსახურენი, მომხმარენი; ხოლო ეპისკოპოსთ ეკუთვნისთ საერთო და უმაღლესი ხელმძღვანელობა მღვდელთა და ამათ მიერ ერთაცა. მოძღვართათვის საჭიროა დიდი გამჭრიახობა, ზედმიწევნითი ცოდნა კაცის ბუნებისა და ცხოვრებისა, დიდი დაკვირვება და გამოცდილება, მუდმივი სიფხიზლე, მაცადინობა და შრომა, განსაკუთრებით კი წმიდა ცხოვრება, სახარებისებრივთ სათნოებათა შესისხლხორცება. ისინი იმდენად განათლიერებულნი, მადლ-შემოსილნი უნდა იყვნენ, რომ პირველ დანახვაზედვე უნდა ეტყობოდესთ, რომ იგინი ცხოვრობენ ღვთაებრივ ცხოვრებითა; მათ სახის გამომეტყველება უნდა უმტკიცებდესთ, რომ ისინი ღმერთს ემსახურებიან არა მარტო სიტყვითა, არამედ ნამდვილად, მთელის თვისის არსებითა. ისინი როგორც მოქმედებით და სიტყვით, ისე სახის გამომეტყველებითაც უნდა იზიდავდნენ თვისისადმი კაცთა და ახდენდნენ მათ ბუნებაში ცვლილებასა—ნერგავდნენ და აღორძინებდნენ კეთილთ მიდრეკილებათა. და აი ჩვენ ვეეედრებით უფალსა, რათა მან მღვდელთა დაეხმაროს, მოსცეს ამათ შეძლება კაცის ბუნების გასწორებისა და სრულ-ყოფისა, და აპატიოსთ მათ თუ ისინი თვის მოვალეობას ვერ ასრულებენ და თვის თანამდებობის შესაფერისნი არ არიან. აგრედვე უნდა ვისურვოთ მოძღვართათვის ყოველივე სიკეთე, რაიცა ამ ცხოვრებაში საჭიროა და ზნეობრივ განვითარებაში ხელს გვიმართავს.

5) „უკეთილმსახურესისა და უთვითმპყრობელესისა დიდისა ხელმწიფისა ჩვენისა, იმპერატორისა ნიკოლოზ ალექსანდრეს ძისა და ყოვლისა პატიოსანთა და მხედრობათა მათითათვის უფლისა მიმართ ვილოცოთ“.—მეხუთე თხოვნაში ვლოცულობთ მეფისთვის და მთელის სამეფო სახლისათვის. ჩვენი ბუნება ისეთია, რომ განკერძოებით, მარტო ყოფნა—ცხოვრება არ შეგვიძლია; იგი თხოულობს ვიქონიოთ სხვებთან მჭიდრო დამოკიდებულობა, ერთობა, რათა ერთი მეორის ნაკლი შევავსოთ და შეერთებულის ძალით ჩვენი ცხოვრება წარვმართოთ, გავაუმჯობესოთ; აქედან წარმოსდგება საზოგადოებრივის ცხოვრების აუცილებლობა. ხოლო დაკავშირებისა და ერთობრიობის გამომხატველნი არიან გამორჩეულნი პირნი, რომელთაც ეძლევათ უფლება მმართვა-გამგეობისა და რომელნიც მოვალენი არიან საზოგადოებრივ კეთილ-დღეობაზე იზრუნონ. ამას გარდა, ადამიანის ბუნება იმდენად დაცემულია, იმდენად შეპყრობილია ბიწიერ მიდრეკილებებით, რომ იგი უფრო ილტვის ბოროტებისადმი, ვიდრე კეთილისადმი, და ამის გამო იგი მომეტებულად ავიწროებს თვისთ მოყვასთა, არღვევს სხვის ბედნიერებას; და აი ამისთანა პირების ასალაგმავად საჭიროა მთავრობა. ამან

უნდა დაიცვას წესიერება და მშვიდობა, ურომლისოთ ცხოვრების განვითარება-გაუმჯობესობა შეუძლებელია. ჩვენს სახელმწიფოში მთავრობის უმაღლესი წარმომადგენელი არის მეფე, თვით მპყრობელი—იმპერატორი; და ჩვენ უფალს ვევედრებით მოანიჭოს მას ყოველივე სულიერი და ხორციელი სიკეთე, შეაძლებინოს ბრძნულად მართოს მისდამი რწმუნებული ერი. იმის მდგომარეობა განაუკეთესოს, ცხოვრება კეთილად მოაწყოს; და ამით ქრისტიანულ ცხოვრების გამეფებას ამ სოფელში ხელი შეუწყოს. ვლოცულობთ რა მეფისთვის, ვლოცულობთ აგრედვე იმის ოჯახობისთვისა და მთელის სამეფო სახლისთვის. ეს იმიტომ, რომ სამეფო სახლის წევრთა სახელმწიფოს მმართვა-გამგეობაზე დამოკიდებულობა და გავლენა აქვთ; და კიდევ იმისთვის, რომ კეთილღეობა სამეფო სახლისა თვით ხელმწიფის ბედნიერებას შეადგენს. ხელმწიფესა და სამეფო სახლთან ერთად ვლოცულობთ „ყოველსა პალატისა და მხედრობათათვის". „პალატისა"—ამ სიტყვით იგულისხმებიან უმაღლესნი მსახურნი პირნი, რომელთა შემწეობით მეფე სახელმწიფოს სხვადა-სხვაგვარ საქმეებს განაგებს, და რომელთა ჭკუაგონებასა, გამჭრიახობასა, სინდისიერ და სამართლიან მოქმედებაზე დამოკიდებულია კეთილ-დღეობა მთელის სახელმწიფოისა. «მხედართათვის"—ე. ი. ჯარის-კაცთათვის, მეომართათვის მხედარნი უცილებლად საჭირონი არიან, რადგანაც დრო სიყვარულისა და მშვიდობისა ჯერ არ დამდგარა, და ჩვენში ძალმომრეობა, უსამართლობა, შფოთი და განხეთქილება სუფევს; თავის დაცვა, შინაურ და გარეგან მტერთა განდევნა მოითხოვს სამხედრო ძალას.

6) „თანამბრძოლებისთვის და დამორჩილებისა ქვეშე ფერხთა მისთა ყოველთა მტერთა და მბრძოლთა მისთა უფლისა მიმართ ვიდოცოთ".—ამ თხოვნაში ვევედრებით ღმერთსა შეაძლებინოს მეფეს დამორჩილება შინაურ და გარეგან მტერთა. იმ პირებისა, რომლებიც საზოგადოებრივ მშვიდობიანობას, მყუდროებას არღვევენ, რომლებიც ხალხის კეთილმდგომარეობას, ბედნიერ ცხოვრებას ხელს უშლიან.

7) „სამეუფოთა ქალაქთა, ქალაქისა ამის ჩვენისა და ყოველსა ქალაქისა და სოფლებისთვის და სარწმუნოებათ მკვიდრთა მათ შინა უფლისა მიმართ ვიდოცოთ".—მესამე თხოვნიდან დაწყებული ვიდრე მეექვსედმდე მლოცველნი სულიერ და ხორციელ სიკეთეს უფალისაგან თხოულობენ ჯერ თავისა თვისისათვის და შემდეგ კერძოდ, ამა თუ იმ პირებისთვის, სახელდობრ ეკკლესიაში შემავალთათვის ე. ი. საეკკლესიო საზოგადოების წევრთათვის,—საზოგადოების მოღვაწეთათვის: სამღვდელო პირთათვის, მეფისა და საერო მსახურთათვის, ჯარისკაცთათვის,—და მერე ითხოვენ სიკეთეს ყოველთა ადამიანთათვის, ყოველ ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებთათვის, სახელდობრ იმ პირთათვის, რომელთაც ცხოველი სარწმუნოება აქვთ და მაცხოვრის სწავლისამებრ ცხოვრობენ.

კაზახაძე.

(შემდეგი იქნება)

სამკურნალო და ჰიგიენური
განყოფილება.

ექიმის საუბარი
გულისხმიერ მკითხველთან.

(საუბარი პირველი).

გაგრძელება*)

რადგანაც სახალხო სამკურნალო გამოცემა ჩვენ ჯერ-ჯერობით არა გვაქვს, ამისათვის ჩვენ განვიზრახეთ, სანამ საამისო ჟურნალის ნებართვას მივიღებდეთ, გვესარგებლნა ჟურნალ „მწყემსი"-ს გეგმით, რომელსაც აქვს ჰიგიენური და სამკურნალო განყოფილებაც. თანაც უფრო მიტომ მივიჩნიეთ ეს საჭიროდ, რადგანაც ჟურნალი „მწყემსი" უფრო გავრცელებულია სოფლის მკვიდრთა შორის, მეტადრე სოფლის მღვდელთა და მასწავლებელთა შორის, და თვითეულს მათგანს-კი რამოდენიმე ასი კაცი მაინც ჰყავს დაახლოებული ყოველთვის, ჭირსა და ლხინში; ამათგან იღებენ სოფლელნი რჩევასა და დარიგებას, და სანამ მკურნალს მიმართავდენ, პირველად მათგან მოელიან დახმარებას.

სწორედ ამ მიზნით იყო შემოღებული სასულიერო სემენარიებში 1867 წლამდე საექიმო მეცნ-

*) იხ. „მწყემსი" № 19. 1902 წ.

ნიერების სწავლება. ამ საგანს 2 წელიწადს სწავლობდენ და საფუძვლადაც ის ჰქონდათ, რომ მღვდელი ხშირად ნახულობს გაჭირვებულს ადამიანს, ესწრება მისს ტანჯვას და, თუ მას შეგნებული აქვს უმთავრესი, უუსაჭიროესი ცნობანი საექიმო მეცნიერებიდგან, შეუძლია მიყრუებულ სოფელში ცოტა რამ დახმარება მაინც გაუწიოს ავადმყოფს და ხან-და-ხან ნამდვილი შველაც მისცეს. შემდეგ საექიმო საგნის სწავლება სემენარიებში ცოტა შეუფერებელად და უსარგებლოდაც მიიჩნიეს, რადგანაც ზოგიერთების აზრით, სამღვდელო პირთათვის ბუნების-მეტყველების და საექიმო მეცნიერების ზოგიერთ საგნებს ვითომ ცუდი ზნეობრივი გავლენა უნდა ჰქონოდა. როდესაც ცნობები შეჰკრიბეს, მოიტანეს თუ არა სოფლად მღვდლებმა სარგებლობა სამკურნალო დარიგებითა და დახმარებითაო, აღმოჩნდა, რომ მართლაც, ბევრგან კარგი დახმარება გაეწიათ მღვდლებს, რასაც თვით ექიმებიც ამოწმებდენ. ამისათვის ხელმეორედ განაახლეს სასულიერო სემენარიებში საექიმო მეცნიერების სწავლება. ამავე მიზნით ამ საგანს ასწავლიან სამასწავლებლო სემენარიებშიდაც, რათა სოფლად გასულ მასწავლებელთ შეაძლებინონ ცოტაოდენი დახმარების მიცემა ხალხისათვის. მაგრამ სამწუხაროდ, ვერც-ერთგან ამ საგანს ვერ სწავლობენ რიგიანად და საკმაოდ. დროს ამას ცოტას ანდომებენ, მასწავლებელნიც მცირე სასყიდლის გამო გულიანად არ ეკიდებიან ამ საგანს, და ბოლოს რჩება ადამიანი თითო-ოროლა ნაგლეჯ-ნაგლეჯად შეთვისებული ცნობების ამარად. ამნაირად ასეთი რთული საგნის შეთვისება შეუძლებელია და მის დანიშნულებასაც საფუძველი ეცლება. მერე კიდევ მოწაფე სასწავლებელში ყოფნის დროს იმას უფრო აქცევს ყურადღებას, რასაც მეტის სიმკაცრით მოსთხოვენ და რაც დამაბრკოლებელ საგნად ეთვლება. რასაც ადვილად აიცილებს თავიდგან, იმას რასაკვირველია, ისიც უკანასკნელ ხარისხზე აყენებს. ამ დროს იმის წარმოდგენა არ აქვს ადამიანს, თუ მომავალ ცხოვრებაში, სოფლად მყოფს, რა განსაცდელი დაადგება, და რა სამსახურს გაუწევს ასეთი საჭირო საგნის ცოდნა, როგორიც არის სამკურნალო მეცნიერება. ბოლოს-კი, როდესაც გამოცდილებით გაიგებს კაცი ამ მწვავე საჭიროებას, უფრო მომახვილებულიც აქვს ყური, უფრო ინახსოვრებს საჭირო დარიგებას და უფრო საგულისხმოდ მიაჩნია ყოველივე, რაც-კი ადამიანის ჯანმრთელობას შეეხება.

ამიტომაც იმედი გვაქვს, სოფლის მღვდელნი და მასწავლებელნი ეხლა უფრო დაუკვირდებიან და მეტის ყურადღებით მოეკიდებიან ამ საგანს, ვიდრე სემენარიაში შეგირდობის დროს. თუ ამათ მოინდომეს და გულდასმით დაინახსოვრეს ჩვენი საუბრები, მათგან სოფლად ბევრი შეიგნებს ზოგიერთ დარიგებას ჯანმრთელობის მოვლისა და ავადმყოფობის აშორების შესახებ. ჩვენც იმედი გვაქვს, ისინი არ დაიშურებენ შრომას და დაგვეხმარებიან ამ საჭირო ცნობების გავრცელებაში, აქ ნათქვამს ხალხს გულდასმით გარდასცემენ და ამნაირად შეუწყობენ ხელს ცოტაოდენ ცოდნის გავრცელებას ისეთ საჭირო დარგის შესახებ, როგორიც არის ხალხის ჯანმრთელობა. ამით თავის თავსაც გამოადგებიან, თავისიანსაც რამეს არგებენ და მოძმესაც გაჭირვების ერთს მხარეს შეუმსუბუქებენ.

ჩვენც ვეცდებით მეტის მეტად მარტივისა და ადვილ-გასაგების სიტყვით გამოვსთქვათ ჩვენი სათქმელი.

ჰიგიენის წესების ცოდნა და მათი დაცვა განათლებულ ქვეყნებში ერთ უუსაჭიროეს დარგად არის ცნობილი ხალხის აღზრდისა და ნაყოფიერ წარმატებისათვის. ეს ცოდნა სასარგებლოა კერძოდ ადამიანისათვის და საერთოდ მრთელი საზოგადოებისთვისაც. მართლაც, ჯანმრთელობის დაცვა და მისი შენახვა ერთ-ერთი ბურჯია საზოგადოების კეთილდღეობისათვის. ამიტომაც მეცნიერება და მრთელი განათლებული კაცობრიობა დიდის ყურადღებით იკვლევენ ამ საგანს, და კიდეც აღმოჩნდა, რომ მრავალი ავადმყოფობა ისეთია, რის აშორებაც შესაძლებელია და კაცის ხელთ არის, თუ კი მოვიწადინეთ და შესაფერისი ღონისძიება მივიღეთ. ამგვარ ავადმყოფობათა რიცხვი თან-და-თან მატულობს და კვალ-და-კვალ მატულობს აგრეთვე მათი ასაშორებელი საშუალებაც. ამნაირად თანამედროვე ადამიანი უფრო მომზადებულია და ადვილადაც ახერხებს სხვა-და-სხვა სენთან შებრძოლებას, და ხშირად ამ ბრძოლაში გამარჯვებულიც რჩება. რამ-

დენადაც თვითეული ადამიანი მომზადებული იქნება ამ ბრძოლისათვის, მით უფრო იკლებს საზოგადოებაში ავადმყოფობა და მისი მსხვერპლიც შემცირდება. ადამიანიც უფრო მძლავრი ხდება სხეულით და ასეთს მძლავრს არსებას მომავლის წარმატებაშიდაც უფრო მეტი წილი უდევს. ასეთი საჭირო რამ არის ჰიგიენა, ესე იგი ის დარგი მეცნიერებისა, რომელიც შეეხება ჯანმრთელობის დაცვას.

ეხლა შევუდგებით იმის განმარტებას, თუ რა არის ჯანმრთელობა და რა არის ავადმყოფობა. ჯანმრთელობა ანუ ჯანის სიმრთელე ისეთი მოხდენილი სიტყვა არის, რომ მას ახსნაც არ ეჭირვება, მისი აზრი აუხსნელადაც ცხადია. ჯანმრთელობა ისეთს მდგომარეობას ჰქვია, როდესაც გონებისა და სხეულის ყოველი მოქმედება ბუნების დანიშნულებისამებრ წესიერად და რიგიანად სწარმოებს და იმ გარეშე პირობებთანაც კარგად არის შეთანხმებული, რა პირობებშიდაც სხეული იმყოფება. სხეულისა და გონების ასეთს შეთანხმებულ, რიგიან მუშაობას ბოსდევს ის სასიამოვნო სიმხნევისა და კმაყოფილების გრძნობა, რომელსაც ჩვენ ჯანმრთელობას, ჯანის სიმრთელეს ვეძახით, ანუ კარგად-მყოფობას. ამის მოპირისპირეა ავად-მყოფობა, შეუძლოდ, „უქეიფოდ“ ყოფნა, ესე იგი ისეთი მდგომარეობა, როდესაც შეთანხმებული სხეულის მოქმედება დროებითად ანუ სამუდამოდ იცვლება რაიმეს დაკლებით, ან მოჭარბებით, ან ზედ-დართვით. ავადმყოფობა, ერთი მეცნიერის სიტყვით, სიცოცხლის შებრძოლება არის რაიმე დაბრკოლებასთან, რაიმე უწესოებასთან, რაიმე ზიანთან. ეს შებრძოლება ბევრნაირია: არის ადგილობრივი, საზოგადო, დაუყოვნებელი, პირდაპირი და გარდაცემითიც. ამისდა მიხედვით ავადმყოფობაც სხვა-და-სხვა ნაირად ჩნდება და ბევრნაირ მსვლელობასაც იღებს. ხან-და-ხან სხეული მიიღებს რაიმე შთაბეჭდილებას. ეს შთაბეჭდილება მსწრაფლია, წარმავალი, მაგრამ მაინც იწვევს ხშირად რაიმე ცვლილებას სხეულის არსებობაში. საჭიროა რამოდენიმე ხანი, რომ სხეული ისევ ჩვეულებრივს დონეზე დადგეს. ხშირად-კი შთაბეჭდილება უფრო მძლავრია და ხანგრძლივიც. რასაკვირველია, იმისი გავლენაც მეტია სხეულზე და ამისდა შედარებით მეტ უწესოებასაც იწვევს იგი სხეულის მოქმედებაში. მიზეზიც რომ მოისპოს, მაინც დიდხანს რჩება ამისი შედეგი. დასასრულ, თუ ეს შთაბეჭდილება მუდმივია, ხშირად სხეულის მოქმედება ვერც-კი უბრუნდება თავის ჩვეულებრივს დონეს. მაგრამ მარტო შთაბეჭდილების მიღება არ არის მიზეზი ყოველგვარის ავადმყოფობისა. ბევრი ისეთი სენია, რომელიც მოჰყვება ხოლმე ჩვენი სხეულის ნაწილებში მომხდარ რაიმე ცვლილებას. ხშირად ადამიანი ვერც-კი მიიკვლევს, რა მიზეზმა გამოიწვია ეს. მაგრამ უმეტეს ნაწილად-კი თვალსაჩინო ხდება, რომ სხეულის მოქმედებაში ცვლილების მიზეზად ყოფილა შთაბეჭდილება, გამოწვეული სხეულში სიცივისაგან, ან რომელიმე თვალთ-უჩინარის სხეულისაგან, შთანასახისაგან, ან რაიმე მომწამლავ ნივთიერებისაგან; ერთის სიტყვით ყოველ ამ შემთხვევათაგანში არის ბრძოლა დამაავადებელ მიზეზთან. ამნაირი ბრძოლა ჩვენი ბუნების ქვაკუთხედია. ამ ბრძოლის სხვა-და-სხვა ხანა წარმოადგენს იმას, რასაც ჩვენ ავადმყოფობას ვეძახით.

სანამ მეცნიერება კარგ გამორკვეულ გზას დაადგებოდა, მანამდე ყველას ეგონა, ვითომც ავადმყოფობა წარმოადგენდა უცხო რაიმეს, რომელიც სხეულს ზედ ერთვოდა, როგორც ცალკე ცხოველი არსება, საკუთარი სიცოცხლის მექონი. დარწმუნებული იყვნენ ყველანი, ვითომც ავადმყოფობა განგებ უჩნდებოდა ადამიანს ღვთაებისაგან, ან რაიმე ზეგარდამო ძალისაგან წარმოგზავნილი შურის საძიებლად და რისხვის დასატეხად. განათლებამ და წინმსვლელობამ გაჰფანტა ეს ცრუ-მორწმუნოება, ეს ხანა დავიწყებას მიეცა—მიიმალა დროთა მსვლელობის წყვდიადში; თანამედროვე მეცნიერებამ დიდი ხანია ეს შეცდომა ყველგან შეაგნებინა კაცობრიობას და ყოველი დაწინაურებული ხალხიც დასცინის ამ წარსულის უვიცობას. დარჩა ოღონდ ეს ჩვენი კუთხე, პატარა საქართველო, სადაც ჯიუტურად ისევ ძველს შეხედულებას ადგიან და ამ წარსულის წინ-დაუხედაობას ვეღარ გაშორებიან. ჩვენ ხალხში დღემდეც ბევრი ერწმუნება ამ უცნაურს ცრუ-მორწმუნეობას და გადამდებ ავადმყოფობას „ბატონებს“ უწოდებს, სულიერ არსებად ისახავს *). გარდა ამისა ბევრი სხვა ავადმყოფობა „წერა“ ჰგონიათ, ან კიდევ „ხატის მიზეზი“, აუშორებელი და უსათუოდ კაცის თავს

*) ამაზე დაწვრილებით მაშინ ვისაუბრებთ, როდესაც სხვა-და-სხვა გადამდებ სენზე გვექნება ბაასი.

მოსასვლელი. ეს რამდენიმე საუკუნის ამბავი, რომელმაც ყველგან ჩაილულის წყალი დალია, მხოლოდ ჩვენ-ღა შეგვრჩენია. შეუგნებელი სოფლელიც და ბევრი მოქალაქეც ჯიუტურად ადგია ამ შემცდარს ძველად ფესვ-გადგმულ შეხედულებას. სხვებმა იკადრეს ამის მიტოვება, ჩვენ ხალხს-კი შერჩა რაღაც საუბედუროდ ეს მავნე შეხედულება. ამაშიდაც ბედმა მწარედ დაგვცინა... ყველაფრის დამკარგველთ სწორედ ასეთ რამეში შეგვრჩა სიჯიუტე, რაშიდაც სრულებით სასურველი არ არის და რითაც ბევრს ვაგებთ. და ვინ იცის რამდენი დრო გაივლის კიდევ, სანამ ჩვენი ხალხი ამ ცრუ-მორწმუნოებას უარჰყოფს!..

ექიმი ვ. ღ—ძე.

(შემდეგი იქნება)

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.), 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მახაჯოჯოსა და ბოჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნისაკენ: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილისი-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

დ. საჩხერეში

მასწავლებელი სერგი ჯინჭველაშვილი ასწავლის ქართულს გალოგას



შინაარსი:

ლიტერატურო განყოფილება: ნურავის წინ ნუ შეუშინდებით სიმართლის თქმას.—ტურინის გარდამოხსნა.—საქართველოს საეკლესიო ისტორიის კათედრის დაარსების შესახებ პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში. მღ. კ. ანთაძე.—სნეული (ლექსი). როსტომ გუჯა.—მიწის ძვრა კახეთში.—სასამართლოს მატიანე.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საზოგადოებასა და **ეთილ-ზნეობაზე:** მართლმადიდებლობით—ქრისტეანებრივის საეკლესიო საზოგ. ღვთის მსახურების განმარტება. კაპახიძე.

სამკურნალო და **ჰიგიენური განყოფილება:** ექიმის საუბარი გულისხმიერ მკითხველთან. ექიმი ვ. ღ—ძე.

—განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **დ. ღამბაშიძე.** Редакторъ-Издатель **П. Д. Гамбашидзе.**

Дозволено цензурою 31 октября *1902 г.*

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.